საშემსრულებლო ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის
სამაგისტრო პროექტის შესრულების წესი

მუხლი 1. სამაგისტრო პროექტი

1. სამაგისტრო პროექტის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კვალიფიკაციათა VII დონით განსაზღვრული კვლევითი უნარების ჩამოყალიბება საშემსრულებლო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.
2. სამაგისტრო პროექტი წარმოადგენს კვლევით კომპონენტს, რომელსაც მაგისტრანტი ასრულებს ინდივიდუალურად სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით.
3. სამაგისტრო პროექტი წარმოადგენს კვლევით კომპონენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამამთავრებელ სემესტრში და მოიცავს ს აშემსრულებლო კომპონენტებსა (მაგ. სპეციალობის კლასი და სხვ.) და სამაგისტრო თეზისს. სტუდენტ ი ვალდებულია სამაგისტრო თეზისი შინაარსობრივად დაუკავშიროს ბოლო სემესტრში სავალდებულო საშემსრულებლო სპეციალობის კომპონენტებიდან ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ყველას, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 2. სამაგისტრო თეზისი

4. სამაგისტრო თეზისის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული თეორული და/ან პრაქტიკული ცოდნისა და უნარების სისტემატიზაცია, განზოგადება, სტუდენტის შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარების გამოვლენა. თეზისი ემსახურება სტუდენტის ორიგინალური ხედვის, დამოუკიდებელი, ანალიტიკური აზროვნების, მოპოვებული ინფორმაციის კრიტიკული გააზრებისა და ლოგიკური დაკვნების გამოტანის უნარის წარმოჩენას.

5. სამაგისტრო თეზისი წარმოადგენს სამაგისტრო პროექტის შემადგენელ ნაწილს და სრუდენტის პრაქტიკულ შემოქმედებით საქმიანობასთან უშუალო კავშირშია. ამდენად, ის შესაძლოა ეხებოდეს ერთ საკვალიფიკაციო გამოცდის რეპერტუარს, მასთან დაკავშირებულ ერთ საკითხს ან ნაწარმოებს , რამდენიმე ან ყველა საკვალიფიკაციო რეპერტუარს.
6. სამაგისტრო თეზისის ფორმებია:

   ა) *სამაგისტრო კვლევა,* რომელიც შესაძლოა იყოს ისტორიული , თეორიული, ანალიტიკური, კრიტიკული, საშემსრულებლო პრაქტიკაზე ორიენტირებული და სხვ.

   ბ) *პროგრამის ანოტაცია* (ე.წ. Program Notes).
7. მაგისტრანტი უფლებამოსილია შეარჩიოს და ვალდებულია შეასრულოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული სამაგისტრო თეზისის ერთ-ერთი ფორმა.
8. რეკომენდებულია , იმ მაგისტრანტმა, რომელიც გეგმავს სწავლის გაგრძელებას კონსერვატორიის და/ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სადოქტორო პროგრამაზე (DMA/PhD), სამაგისტრო თეზისის სახით შეარჩიოს *სამაგისტრო კვლევა.*
9. ამ მუხლის მე-6 პუქნტში განსაზღვრული სამაგისტრო თეზისის ფორმების დაცვა ხორციელდება საჯარო პრეზენტაციითა და დისკუსიით სემესტრის ბოლოს.
10. სამაგისტრო თეზისის დაცვა ხორციელდება სამაგისტრო პროექტის სხვა კომპონენტების საკვალიფიკაციო გამოცდების შემდეგ.
11. სამაგისტრო პროექტის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის (მათ შორის სამაგისტრო თეზისის) ფარგლებში 51 ქულაზე ნაკლები დასკვნითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს შესრულებულად არ ეთვლება პროექტი. ასეთ შემთხვევაში, სავალდებულოა იმ კონკრეტული კომპონენტის ხელმეორედ გავლა, რომელიც აკადემიურ დავალიანებად ეთვლება სტუდენტს.

მუხლი 3. დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროექტის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებსაც შესრულებული აქვთ პროგრამით განსაზღვრული წინაპირობები და სამაგისტრო თეზისის

დაცვამდე დააგროვებენ შესაბამის კრედიტებს ყველა სავალდებულო საგანში.

მუცლი 4. სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელი:

1. სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კონსერვატორიის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი), ემერიტუსი , თსკ დოქტორანტი, მოწვეული სპეციალისტი.
2. სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელი შეირჩევა სამაგისტრო პროექტის ფარგლებში არსებული კომპონენტების წამკითხველთაგან სტუდენტის ინტერესის გათვალისწინებით.
3. სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
4. საჭიროების შემთხვევაში, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს კონსულტანტ ი, რომელიც არის დარგის ექსპერტი ან/და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი და აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო თეზისთან დაკავშირებული შესაბამისი გამოცდილება/ცოდნა. აღნიშნულ შემთხვევაში კონსულტანტი იდენტიფიცირდება, როგორც სამაგისტრო თეზისის თანახელმძღვანელი.
5. სამაგისტრო თეზისის თემა და ხელმძღვანელი მტკიცდება შესაბამისი მიმართულების სხდომაზე.
6. თანახელმძღვანელის შერჩევისას სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელი განცხადებითა და არგუმენტირებული დასაბუთებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
7. სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ინდივიდუალური საკონტაქტო საათების ფარგლებში კონსულტირებას უწევს სტუდენტს თეზისის შინაარსობრივ და სტრუქტურულ მხარეზე, ეცნობა თეზისის დასრულებულ ვერსიას, საჭიროების შემთხვევაში აცნობს სტუდენტს საკუთარ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელი ასევე მონიტორინგს უწევს მაგისტრანტის მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულების ვადებსა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას.
8. მაგისტრანტის ხელმძღვანელობის მიზნით სამაგისტრო თეზისის

ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს 2 ინდივიდუალური საკონტაქტო საათი ყოველ ორ კვირაში ერთხელ სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

9. ერთმა პიროვნებამ შესაძლოა ხელმძღვანელობა გაუწიოს არაუმეტეს ოთხ სამაგისტრო თეზისს. თანახელმძღვანელობის შემთხვევაში დაშვებულია არაუმეტეს რვა სამაგისტრო თეზისის ხელმძღვანელობა.

მუხლი 5. სამაგისტრო თეზისის შერჩევა და დამტკიცება

1. სამაგისტრო თეზისის შერჩევა, თეზისის სათაურის , პროსპექტუ სისა (სავალდებულოა მხოლოდ სამაგისტრო კვლევისათვის, იხ. დანართი #1) და ხელმძღვანელის დამტკიცება ხორციელდება მე-4 სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა შესაბამის ი მიმართულების სხდომაზე. მიმართულების სხდომის ოქმი მიმართულების ხელმძღვანელის მიერ ეგზავნება საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს. ოქმში მითითებული უნდა იყოს მაგისტრანტის სამაგისტრო თეზისის ა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შესახებ დეტალური ინფორმაცია.
2. სამაგისტრო პროექტის საკვალიფიკაციო გამოცდის/გამოცდების რეპერტუარის წარდგენა და დამტკიცება ხდება მე-4 სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს მე-13 სასწავლო კვირისა შესაბამის ი მიმართულების სხდომაზე. ა ღნიშნული ვად ის გადაცილების შემთხვევაში, მაგისტრანტს არ აქვს უფლება გავიდეს გამოცდაზე. დამტკ იცებული დოკუმენტაცია კათედრის ხელმძღვანელის მიერ ეგზავნება საშემსრულებლო ფაკულტეტის სამდივნოს პირად საქმეში შესანახად.
3. გამონაკლის შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებულია მაგისტრანტის ან ანსამბლის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და/ან სხვა ობიექტურ, მისგან დამოუკიდებელ მიზეზებთან (რაც შესაძლებელია დამტკიცდეს დოკუმენტურად), სტუდენტს ეძლევა უფლება შეცვალოს საკვალიფიკაციო გამოცდის დამტკიცებული რეპერტუარი წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადების ამოწურვის შემდეგ. აღნიშნულ შემთხვევაში, არ არის

სავალდებულო შეიცვალოს სამაგისტრო თეზისი. შეცვლილი რეპერტუარი მტკიცდება წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურის გათვალისწინებით.

4. სამაგისტრო პროექტი სრულდება საკვალიფიკაციო გამოცდის ან/და გამოცდების ჩაბარებითა და თეზისის დაცვით.

მუხლი 6. სამაგისტრო თეზისის გაფორმების წესი

1. წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად სტუდენტს აქვს უფლება შეასრულოს ერთ-ერთი ფორმა: *სამაგისტრო კვლევა* ან *პროგრამის ანოტაცია.*
2. *სამაგისტრო კვლევა* უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:
    - სატიტულო გვერდი (ნიმუში იხ. დანართი #2);
    - განაცხადი;
    - აბსტრაქტი;
    - სარჩევი;
    - შესავალი (კვლევის მიზნები, ამოცანები, საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის საგანი და ობიექტი, სიახლე);
    - ლიტერატურის მიმოხილვა;
    - მეთოდოლოგია;
    - კვლევის დამაბრკოლებელი ფაქტორები (არსებობის შემთხვევაში);
    - ძირითადი ნაწილი;
    - შედეგები და დასკვნა;
    - გამოყენებული ლიტერატურა (გაფორმებული უნდა იყოს APA-ს სტილით. იგივე სტილი უნდა იყოს დაცული ციტატ(ებ)ის გამოყენების დროს);
    - დანართები (არსებობის შემთხვევაში);

არანაკლებ 20-25 A4 ფორმატის გვერდის მოცულობის კვლევა წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc/docx ფორმატში). ფაილის სახელწოდებად გამოტანილი უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი, მაგალითად: Maia.Metreveli.doc. კვლევის სრული

ქართულენოვანი ტექსტი შესრულებული უნდა იყოს Sylfaen-ის, ხოლო ინგლისურენოვანი ტექსტი Times New Roman გარნიტურის გამოყენებით 12 ზომის შრიფტით და სტრიქონებს შორის 1.5 ინტერვალით. ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი უნდა შეადგენდეს მარცხენა მხარეს 3 სმ, ხოლო მარჯვენა მხარეს – 1 სმ. ზედა და ქვედა არეებიდან დაშორება უნდა შეადგენდეს 2-2 სანტიმეტრს (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, დანართი#2 https://tsc.edu.ge/wp-content/uploads/2021/11/danarti-125-2021.pdf).

3. *პროგრამის ანოტაცია* უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:
   - სატიტულო გვერდი (ნიმუში იხ. დანართი #2);
   - განაცხადი;
   - აბსტრაქტი (ქართულ და ინგლისურ ენაზე)
   - სარჩევი
   - შესავალი ნაწილი - ლიტერატურის მიმოხილვა . კომპოზიტორის და მხატვრული ტექსტის ავტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე ბიოგრაფიულ ცნობები, კომპოზიტორის ეპოქის, სტილის/ჟანრის და შემოქმედებითი მემკვიდრეობის განხილვა; ნაწარმოების სრული სახელწოდება (თხზულება /ნუმერაცია/კატალოგის ნომერი/სპეციფიური აბრევიატურა/ტემპი/ტონალობა/ნაწილ(ებ)ის დასახელება/ და სხვა.)
   - ძირითადი ნაწილი - ძირითადი ნაწილი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგი საკითხების ირგვლივ: ნაწარმოების შექმნის ისტორიას და გარჩევას ისტორიულ და/ან თეორიულ კონტექსტში, მხატვრული ტექსტის თარგმანს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საშემსრულებლო ინტერპრეტაციის და/ან მუსიკალური ნაწარმოების სხვადასხვა რედაქციების მიმოხილვას; სტუდენტის ხედვას ნაწარმოების საშემსრულებლო ინტერპრეტაციის თავისებურებებთან დაკავშირებით. ასევე სხვა, დამატებითი ინფორმაცია ნაწარმოების ირგვლივ (სტუდენტის სურვილის ან რეპერტუარის სპეციფიკიდან გამომდინარე).
   - დასკვნა

- გამოყენებული ლიტერატურა (გაფორმებული უნდა იყოს APA-ს სტილით. იგივე სტილი უნდა იყოს დაცული ციტატ(ებ)ის გამოყენების დროს);
- დანართები (არსებობის შემთხვევაში);

პროგრამის ანოტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc/docx ფორმატში) მოცულობა არანაკლებ 10 A4 ფორმატის გვერდისა. ფაილის სახელწოდებად გამოტანილი უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი, მაგალითად: Maia.Metreveli.doc . ანოტაციის სრული ქართულენოვანი ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Sylfaen-ის, ხოლო ინგლისურენოვანი ტექსტი Times New Roman გარნიტურის გამოყენებით 12 ზომის შრიფტით და სტრიქონებს შორის 1.5 ინტერვალით. ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი უნდა შეადგენდეს მარცხენა მხარეს 3 სმ, ხოლო მარჯვენა მხარეს – 1 სმ. ზედა და ქვედა არეებიდან დაშორება უნდა შეადგენდეს 2-2 სანტიმეტრს (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, დანართი#2 https://tsc.edu.ge/wp-content/uploads/2021/11/danarti-125-2021.pdf)

4. სტუდენტი ვალდებულია სამაგისტრო თეზისის დაცვამდე სულ მცირე 3 კვირით ადრე მიმართოს ბიბლიოთეკას შუამდგომლობით ნაშრომის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაგზავნის შესახებ კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემით – Ouroginal-ით პლაგიარიზმზე შემოწმების მიზნით. სტუდენტი ვალდებულია პასუხის მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა შედეგი აცნობოს საკვალიფიკაციო თეზისის ხელმძღვანელს (იხ. აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, დანართი №1, მუხლი 5).
5. სამაგისტრო თეზისში პლაგიატის დაფიქსირების შემთხვევაში ხელმძღვანელი განსაზღვრავს თეზისის დაცვამდე მისი გადამუშავების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში თუ,

ხელმძღვანელის მოსაზრებით, დაცვამდე დარჩენილი ვადა არ არის საკმარისი გადამუშვებისათვის, ხელმძვანელი განცხადებით მიმართავს და შესაბამის ინფორმაციას აწვდის პროგრამის ხელმძღვანელსა და მიმართულების ხელმძღვანელს.

6. წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისგან განსხვავებულ ვითარებაში თეზისის ხელმძღვანელი ამზადებს წერილობით დასკვნას (იხ. დანართი #3) სამაგისტრო თეზისის შესახებ, რომელსაც გადასცემს მაგისტრანტს.

მუხლი 7. სამაგისტრო თეზისის წარდგენა

1. მაგისტრანტი საშემსრულებლო ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელს ოფიციალურად წარუდგენს სამაგისტრო თეზისის ორ აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (Microsoft Word და PDF ფორმატში), ბოლო სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (აკადემიური კალენდრის მიხედვით).
2. სამაგისტრო თეზისთან ერთად მაგისტრანტმა მიმართულების ხელმძღვანელს უნდა წარუდგინოს: ა) სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წერილობითი დასკვნა სამაგისტრო თეზისის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო სამაგისტრო თეზისს და მზად არის დაცვაზე წარსადგენად (იხ. დანართი #3) ; ბ) კონსერვატორიის ბიბლიოთეკიდან მიღებული პასუხი თეზ ისში პლაგიატი ს არ არსებობის შესახებ.
3. შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელი სტუდენტის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე მიმართავს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს საკვალიფიკაციო გამოცდის და სამაგისტრო თეზისის დაცვის კომისიის ფორმირების საჭიროების თაობაზე.

მუხლი 8. სამაგისტრო თეზისის დაცვის თარიღის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცება

1. სამაგისტრო თეზისის დაცვისა და საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღის, ასევე კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ ბრძანებას გამოსცემს კონსერვატორიის რექტორი.
2. სამაგისტრო თეზისის დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცები ს შემდეგ მიმართულება უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის ეგზემპლარების გადაცემას კომისიის წევრებისათვის.
3. სამაგისტრო თეზისის დაცვის კომისია უნდა შედგებოდე ს 5 წ ევრისაგან, რომლებიც შე საძლოა შერჩეულ იქნან როგორც საშემსრულებლო, ასევე კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის პერსონალს შორის.
4. სამაგისტრო თეზისის დაცვის კომისიის წევრი შეიძლება იყოს, როგორც კონსერვატორიის აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალი, აგრეთვე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირი.
5. სამაგისტრო თეზისის დაცვის კომისიის მუშაობას ესწრება მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხმის უფლების გარეშე.

მუხლი 9. სამაგისტრო თეზისის დაცვა და შეფასება

1. სამაგისტრო თეზისის დაცვა ხორციელდება სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის ბოლოს . სამაგისტრო თეზისი შესაძლოა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
2. სამაგისტრო თეზისის დაცვამდე პროგრამის ხელმძღვანელი გამოყოფს რეცენზენტს. რეცენზენტი შეიძლება იყოს თსკ აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ემერიტუსი, დოქტორანტი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირი.
3. რეცენზენტს სამაგისტრო თეზისი უნდა გადაეცეს დაცვამდე 7 დღით ადრე. რეცენზენტი დაცვამდე 3 დღით ადრე წარადგენს რეცენზიას წერილობითი ფორმით, რომელშიც ის აფასებს ნაშრომს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით (იხ. დანართი # 4) 60 ქულის

ფარგლებში.

4. რეცენზენტი ესწრება ნაშრომის საჯარო დაცვას და თავის დასკვნასა და შეფასებას საჯაროდ აცნობს კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტი ფიზიკურად ვერ ესწრება დაცვას, წერილობით დასკვნას უგზავნის სამაგისტრო დაცვის კომისიის თავჯდომარეს.

5. სამაგისტრო თეზისი ფასდება 100-ქულიანი სისტემით (60 ქულა რეცენზენტის შეფასება, 40 ქულა - კომისიის შეფასება)

6. თეზისი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე (იხ. დანართი №5).

7. სამაგისტრო თეზისის დაცვაზე ხდება მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო კვლევის შედეგების და/ან პროგრამის ანოტაციის შესახებ პრეზენტაციის წარდგენა.

8. პრეზენტაციისთვის სტუდენტს ეძლევა 10-15 წუთი. პრეზენტაცია უნდა ასახავდეს ნაშრომის შინაარსს, სტრუქტურას, დასახულ მიზნებს, საკითხის აქტუალობას, და მიღწეულ შედეგებს. პრეზენტაციის წარმოდგენის შემდეგ რეცენზენტი წარმოადგენს რეცენზიას, რის შემდეგაც სტუდენტი პასუხობს კომისიის წევრთა შეკითხვებსა და შენიშვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. დაცვის დროს თეზისის შინაარსობრივი მხარე და მისი წარდგენა ფასდება 40 ქულის ფარგლებში კომისიის თითოეული წევრის მიერ განხილვით. მაგისტრანტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით, რასაც ემატება რეცენზენტის შეფასება. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისიისა და რეცენზენტის მიერ განხორციელებული შეფასება შეადგენს სულ მცირე 51 ქულით.

10. სამაგისტრო თეზისის დაცვის შედეგი (საბოლოო შეფასება) აისახება უწყისში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და რეცენზენტი.

პროსპექტუსი (პროექტი) წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევისა და ანალიზის შედეგს, ნაშრომის წინასწარ მონახაზს.

პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. ავტორმა უნდა იცოდეს თუ რა ტიპის რესურსებს (ლიტერატურა, სტატისტიკა) დაეყრდნობა და სად შეიძლება ამ რესურსის მოძიება. პროსპექტუსი უნდა მოიცავდეს სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების შედეგებსა და კვლევისათვის აუცილებელ ბიბლიოგრაფიას. აგრეთვე, საკითხის კვლევის ისტორიას. ავტორმა უნდა ჩამოაყალიბოს საკვლევი პრობლემატიკა, მეთოდოლოგია და კვლევის ძირითად საკითხები, წარმოადგინოს კვლევის გეგმა.

პროექტის/პროსპექტუსის სტრუქტურა:

- შესავალი (ზოგადი დახასიათება, სამეცნიერო სიახლე, აქტუალობა, მიზნები და პრაქტიკული მნიშვნელობა);
- სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის მეთოდოლოგია (შერჩეულ კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები);
- ძირითადი საკვლევი საკითხები;
- კვლევის მოსალოდნელი შედეგები;
- ნაშრომის შესრულების სავარაუდო გრაფიკი;
- ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა;
- ბიბლიოგრაფია (პირველწყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა);

დანართი #2

ქრისტიანული საღვთისმსახურო მუსიკა XIX-XXI საუკუნეების თბილისში

გიორგი დევდარიანი

მუსიკის ისტორიის მიმართულება, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

MUS 3170: ქართული მუსიკის ისტორია

მარინა ქავთარაძე, პროფესორი

ნოემბერი 1, 2021

დანართი #3

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

----------ფაკულტეტი,

მე, ხელმომწერი ვადასტურებ, რომ გავეცანი _____ მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: ---------- და ვაძლევ რეკომენდაციას ---------- ფაკულტეტის სამაგისტრო თეზისის დაცვის კომისიის მიერ იქნას განხილული მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი:

ხელმძღვანელი_____

დანართი #4

სამაგისტრო კვლევის შეფასების კრიტერიუმები რეცენზენტისათვის	**ქულა**
ა) თეზისის ფორმალური მხარე (სტანდარტთან შესაბამისობა)	10
ბ) თეზისის შინაარსობრივი მხარე ● ფაქტობრივი მასალის ფლობა –15 ქულა ● კვლევისა და ანალიზის უნარი –15ქულა ● არგუმენტირებისა და დასკვნის უნარი– 10ქულა ● ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა	50

პროგრამის ანოტაციისათვის შეფასების კრიტერიუმები რეცენზენტისათვის	**ქულა**
ა) თეზისის ფორმალური მხარე (სტანდარტთან შესაბამისობა)	10
ბ) თეზისის შინაარსობრივი მხარე: ● ფაქტობრივი მასალის სიზუსტე - 20 ქულა ● წარმოდგენილი მასალის ანალიზის უნარი - 20 ქულა ● ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა	50

სამაგისტრო კვლევის შეფასების კრიტერიუმები კომისიისათვის	**ქულა**
ა) პრეზენტაციის ვერბალური მხარე ● მასალის ფლობა –10 ქულა ● ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი –10 ქულა ● აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი–10 ქულა	30
ბ) ტექნიკური და ვიზუალური მხარე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი	10
სამაგისტრო თეზისის საბოლოო შეფასება შედგება რეცენზენტისა და კომისიის შეფასებათა ჯამისაგან - მაქსიმუმ 100 ქულა. დადებითი შეფასება - მინიმუმ 51 ქულა	

პროგრამის ანოტაციის შეფასების კრიტერიუმები კომისიისათვის	**ქულა**
ა) პრეზენტაციის ვერბალური მხარე ● მასალის ფლობა, ანალიზისა და არგუმენტირების უნარი –20 ქულა ● აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი–10 ქულა	30
ბ) ტექნიკური და ვიზუალური მხარე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი	10

სამაგისტრო თეზისის საბოლოო შეფასება შედგება რეცენზენტისა და კომისიის შეფასებათა ჯამისაგან - მაქსიმუმ 100 ქულა. დადებითი შეფასება - მინიმუმ 51 ქულა